ცნობის ფურცელი

№ 1875 სამშაბათი, 23 ივლისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1875

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ბანკის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ჯიბო ზურაბის ძე, ვლადიმერ ჯიბოს ძე და ილია ვლადიმერის ძე წერეთლები სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ სოფელ სვერში (შორაპნის მაზრა) 27 ამა ივლისს და დაესწრნენ ორმოცის დღის წირვასა და პანაშვიდს განსვენებულის

ლიზა სოლომონის ასულის წერეთლის

სულის მოსახსენებლად. (მწირველი იქნება იმერეთის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო ლეონიდე). (2—2)

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის-ფურცელი“
სურათებიანი დამატებით

1-ლ ივლისიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარედ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **3** მან. და **50** კაპ.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

ბორჯომში
ექიმი ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის 8½—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღეს გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის სახლი.

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

გ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი ნერვებისა და ბავშვებისა. სამშაბათს და პარასკევს 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10 საათამდე.

ბ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ვრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ.-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ვ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. **ტელეფონი № 274.** (წლ.)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე მიიღებს აგრეთვე საქმეო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი.

ქ. გორში,
ექიმი კონსტანტინე ლაზარეს ძე
ტურიაშვილი,

საკუთარ სახლში, იღებს: ავადმყოფებს შინაგანითა, საბავშვო და თვალის.

ექიმი
ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5—8 საათ.
წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

ახალი ამბავი

◆ გუშინ, 22 ივლისს, **ხელმწიფე დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის ხსენების დღეს** მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესმა ალექსიმ სიონის საკრებულო ტაძარში გადაიხადა სადღესასწაულო წირვა და პარაკლისი, რომელსაც დაესწრნენ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა, წოდებათა და საქალაქო თვითმმართველობის წარმომადგენელნი და დიდძალი საზოგადოება.

დღისით ქალაქი მორთული იყო ბაირაღებითა და საღამოს გაჩირაღდნებული.

◆ **გურიიდან გვწერენ:** „ათ დღეზე მეტია, რაც ჩვენსკენ კოკის-პირულად სწვიმს. დიდი წვიმებია განსაკუთრებით შავი-ზღვის პირად, რის გამო თითქმის ყველგან ტბები დადგა. ნათესს აქამდე კარგი პირი უჩანდა, მაგრამ ეხლა ისე წახდა, რომ მოსავალი შარშანდელზე ბევრად უარესი იქნება. დღეს თითქმის მთელი გურია, ორიოდე სოფლის გარდა, დიდ გაჭირვებაშია უსაკვებოთ. სიმინდი აქეთ ფუთი 80—90 კაპ. ფასობს. გაჭირვებულ ხალხს ძლიერ სასტიკად ეპყრობიან სოფლის მოხელენი. ხშირად გაჭირვებული გლეხი უკანასკნელ სარჩოსა ჰყიდის მოხელეთა დასაკმაყოფილებლად. გაჭირვებით აიხსნება უთუოდ ქურდ-ბაცაცების გახშირება ამ ბოლოს დროს ჩვენში.

◆ როგორც სჩანს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ანგარიშიდან, შარშან **კავკასიის ყველა გიმნაზიებში** კურსი დაუმთავრებია 325 კაცს. მათგან შესულან: მათემატიკურ ფაკულტეტზე—106, საექიმოზე—85, იურიდიულზე—65, ფილოლოგიურზე—18, აღმოსავლეთ ენებისაზე—4, ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში—23, სამთოში—8, გზათა ინსტიტუტში—5, ხელოვნების აკადემიაში—2, საღმშენებლო სასწავლებელში—1, ხოლო 8 კაცი ჯერ არსად შესულა.

◆ **სამტრედიიდან გვწერენ:** დიდი გაჭირვებაა ჩვენსკენ. შარშანდელ მოუსავლობის გამო ბევრს შემოაკლდა სიმინდი და ეხლა აღარ იციან, რით გამოჰკვებონ ცოლშვილი ახალ მოსავლამდე. ამ ჟამად აქეთ ფუთი სიმინდი 80—90 კაპეიკი ფასობს. საუბედუროდ, წელს აბრეშუმის მოსავალიც მცირე იყო: წინა წლებთან შედარებით წლეულს აბრეშუმს მესამედიც მოუცია.

2 ივნისს ადგილობრივ საზოგადოებას კრება ჰქონდა, რომელზედაც განაჩენით დაადგინეს დააარსონ სასოფლო სამკურნალო. სამწუხაროდ, რაღაც მიზეზისა გამო განაჩენის სისრულეში მოყვანა შეჩერდა.

◆ ქალთა ტფ. 1-ლ **გიმნაზიაში** წელს ვაკანსიები მხოლოდ უფროსს მოსამზადებელსა და საანბანო კლასებშია. ეგზამენი უფროსს მოსამზადებელში შესასვლელად დანიშნულია 28 აგვისტოს; საანბანო კლასში მიიღებიან 7 წლის ბავშნი, რომელთაც რუსული ლაპარაკი იციან.

◆ **ამიერ-კავკასიის სამასწავლებლო სემინარიაში** წელს მისაღები ეგზამენები დაიწყება 26 აგვისტოს. სახელმწიფო ვაკანსიები წელს სემინარიაში 27-ა.

◆ **წყალში დახრჩობისაგან გადამრჩენელის საზოგადოების კავკ. განყოფილების მმართველობა** გვთხოვს დავბეჭდოთ ანგარიში იმ სეირნობისა, რომელიც გამართა საზოგადოების სასარგებლოდ 14 ივლისს ალექსანდრეს ბაღში:

„სულ შემოვიდა: ბილეთის გაყიდვიდან, პრემიები, ბუფეტიდან—857 მან. 31 კაპ.; სულ დაიხარჯა: ბილეთების მარკებზე, ჩირაღდნებზე, სამუსიკო ორკესტრებზე, ზურნაზე, ბალალაიკაზე, საჩუქრებზე და სხვა—407 მ. 80 კაპ.; წმიდა მოგება დარჩა—449 მან. 51 კაპ., ამასთანავე მმართველობა გულწრფელ მადლობას უძღვნის: საქალაქო გამგეობას, ტფ. და მინგრელსკის პოლკებს, გაზეთებს—„კავკაზ“-ს, „ტფ. ლისტოკ“-ს, „ნოვ. ობოზრ“-ს, „ცნ. ფურცელს“, მშაკს“ და ყველა იმათ, ვინც ხელი შეუწყო სეირნობის გამართვას“.

◆ 25 ივლისს, ქობულეთის ახლო, აკურთხებენ ძეგლს, რომელიც დადგმულია ზაქათალის პოლკის ჯარის-კაცთა საერთო საფლავზე. ეს ჯარის-კაცნი დახოცილიყვნენ ციხის ძირის სიმაღლეებზე მომხდარ ბრძოლის დროს 1878 წლის 18 იანვარს.

◆ პოლიციის მე-2 ნაწილის სამმართველოში ტფილისის ოლქის სასამართლოს მოხელეს სოლომონ მდინარაძეს განუცხადებია, რომ მას ღამით ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა მოჰპარა ერთი ხელი ტანისამოსი და ჯიბიდან ქისა, რომელშიაც 90 მან. ჰქონდა; ქურდობაში ეჭვი არავიზედ არ განუცხადებია. ქურდებისა და დაკარგულ ნივთების აღმოსაჩენად გამოძიება სწარმოებს.

◆ პოლიციის მე-9 ნაწილში, 17 ივლის სარქის სარქისოვისთვის ვიღაც კონდრატიევის ქალს მოუპარავს სხვა-და-სხვა ნივთები. კონდრატიევისათვის ქურდობა მალე შეუტყვიათ, გამოსდევნებიან პოლიციელი და მეეზოვე № 1493 კარაპეტოვი და დაუპატიმრებიათ. კონდრატიევისა პასუხის გებაში იქმნა მიცემული.

◆ დ. ზურაბიშვილი გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: უღრმეს მადლობას ვუცხადებ იასონ პეტრესძე ბარაბაძეს, რომელმაც კეთილ ისურვა და შემოსწირა სოფელ მათხოჯის წ-ის ვასილის ეკკლესიას აბრეშუმის დროშები, ღირებული 70 მანეთად.

დაბა-სოფლები

სოფ. კილახოური (აფხაზეთი). ჩვენ სოფელს პატარა მდინარე ჩამოუდის, რომელსაც ამავე სოფლის სახელი ჰქვიან და რომელიც იქვე ერთვის ზღვას. ამ მდინარეზე წელს ხიდის კეთება დაიწყეს თათრებმა და შესანიშნავადაც აშენებენ. რამდენისამე კვირის შემდეგ ძვირფასს ხიდს ჩაგვაბარებენ.

ახალ ხიდის მახლობლად ქალებიც მუშაობენ. 17 ამ თვეს ერთ მუშა ქალს შემოჰღამებია, გზაზე თათრები დახვედრიან და უთხოვნიათ, დაგვნებდიო. როდესაც ქალს უარი უთქვამს, ერთ თათარს დანა ამოუღია, ქალისთვის გულში ჩაუკრავს, ძუძუ მოუჭრია, ხელები დაუსერავს და გაქცეულა. საბრალო ქალი იმ წამსვე მომკვდარა. პოლიცია დაეძებს ბოროტ-მოქმედს.

მდ. კოდორი ისე ადიდდა, რომ ნაპირებიდან გადავიდა. ადიდებულმა მდინარემ სიმინდები სულ მილეკ-მოლეკა. ორას დესეტინა ტყესაც დიდ ზარალს აყენებს.

ლავრენტი მელამე

—

სოფ. ადზიუბჟა (აფხაზეთი). ჯერ-ჯერობით სიმინდის მოსავალს ჩვენში ძალიან კარგი პირი უჩანს, ბოლოს დროს ცოტა გვალვამ შეაწუხა, მაგრამ ღმერთმა გადმოგვხედა და 10 ივლისს კარგი ჟუჟუნა წვიმა მოგვივლინა.

აქეთ რაღაც ავადმყოფობაა. ხალხი ბღერს ეძახის ამ ავადმყოფობას, იგი გადამდებია და მეტად ავი მოსარჩენიც. საჭიროა ექიმი გამოიგზავნოს ავადმყოფობის გამოსარკვევად და ხალხის სამკურნალოდ. ათი წელიწადი მეტი იქნება, რაც ეს ავადმყოფობა აქეთ მძვინვარებს.

წერილი აბასთუმნიდან

მშვენიერი ჰავა.—მოუწყობლობა და სიბინძურე.—რემონტის მოლოდინი

აბასთუმანში რომ კარგი ჰავაა, ეს თითქმის ყველამ იცის; მაგრამ აქ რომ ცხოვრება გაჯახირებულია—სამწუხაროდ ეს ბევრისათვის ახალი ამბავია. მართლა სასწაულს ახდენს ხან-და-ხან აბასთუმანი მძიმე ავადმყოფებზე და თუ ზოგჯერ საბრალო ავათმყოფი სრულიად უსარგებლოდ ბრუნდება აქედან უკან, ამის მიზეზი, ჩემის ფიქრით, სხვათა შორის ისიცაა, რომ აბასთუმანში ცხოვრება ჯერ-ჯერობით რიგზე არ არის დაყენებული. ყველაზე უფრო მძიმე სნეულები კი აქ მოდიან. მაშასადამე უზნეობა არ იქნება ასეთი ადგილის ნაკლულევანებას შენის თვალით ხედავდე და ხმა არ ამოიღო?

ყველაზე უფრო აქ გასაჭირია ხეირიანი ბინის შოვნა. გვარიანი საოჯახო ბინა მთელი ზაფხულით 400—700 მანეთში ქირავდება. ცალკე ოთახი კი—100—200 მან. *) ვინც ოჯახობით ჩამოდის, ე. ი. ვისაც მოსამსახურეც და მზარეულიც თან ახლავს, ის ქირაობს ბინას და დანარჩენი ყველაფერი სახლში უმზადდება. მიუხედავად ამისა სავალალო რასაკვირველია ამისთანებსაც აქვს,—მაგ. ავიღოთ უკანა ეზოს სიბინძურე და ფეხის ადგილის ყოვლად უვარგისობა. უნდა შევნიშნო, რომ ფეხის ადგილის სიშორე-სიახლოვეს ძალიან დიდი გავლენა აქვს ავადმყოფზე და არა ერთი და ორი მინახავს გაციებული (უმეტესად ღამე) და ლოგინად ჩავარდნილი. მეორე მხრივ, აქ თქვენ ხშირად შეხვდებით სწორედ ოთახის წინ გაკეთებულ კლოზეტს: არ იფიქროთ კი ქვის ან ფიცრისაგან: აუღიათ ძველი კონკები და ერთმანეთზე ქინძის თავებით მიუბნევიათ. მაგრამ ეს რა არის, როდესაც ზოგგან მთელი უკანა ეზოც ფეხის ადგილად არის გადაქცეული **) გუშინ ერთ ნაცნობ ავადმყოფთან შევედი და, სწორედ გითხრათ, გული დამეწვა სიბრალულისა და სიბრაზისაგან: ჯერ ოთახის წინ სდგას ჰრიკალოს ფეხის ადგილი; იქ თითქმის შუა ეზოში უბრალო ფეხის ადგილია გამოჭიმული; ეზოშივე

---

*) აქაურ სახლებს მხოლოდ ზაფხულობით აქვს გასავალი თორემ დანარჩენი დრო სულ დაცარიელებულია. მაგრამ სახლის პატრონები ამ სამ თვეში იმდენს იღებენ, რაც მთელ წელიწადში უნდა აელოთ.

**) ქუჩიდან აქ თითქმის ყველა სახლებს თავისი საკუთარი ბაღჩა აქვს და სილამაზითაც არა უშავს რა.

(ალბად) მრეცხელი დგას და საპნიანი წუმპე წყალი ეზოში უდგრია; იქ ბოსელი, აგერ მტვრით ნაგავით და სიბინძურით სავსე ხის ყუთი; აგერ რაღაც ნახვრეტი მიწაში, რომელსა პატარა ქვა ადევს და საიდამაც თურმე უსაძაგლესი სუნი ამოდის ხან და ხან...

ვინც ცალკე ოთახს ქირაობს მოსამსახურით, იმას კი სხვა სატირალიც აქვს. სახლის პატრონები ოთახში არც კი შემოიხედავენ და მოსამსახურებს რა ენაღვლებათ—წმინდათ იქნება ოთახი თუ არა, იმას გარდაწყვეტილი აქვს თვიურად მდგმურისაგან სასამსახურო და გათავდა. გაუწყრები, კიდევ უარესად მოგაყვანიებს გულს. ერთი ნაცნობი შემომჩიოდა: კაცო, ამას რას გადავეკიდე—ორ კვირაში ერთხელ ოთახს არ მიწმენდავენო. ეს კიდევ არაფერი, დილაზე რომ ადრე შინიდან გამოსვლა შემეძლოს; თორემ ის დაწყევლილი მოსამსახურე რძეს 10—11 საათ. არ მომაკარებს და მშიერი, აბა სად წავიდე. რაც შეეხება სამოვარს, სამოვარში აქ ცალკე იღებენ ქირას: რა ვქნათ—ნახშირი იწვისო და თანაც სამოვარი დნებაო.

თუ შინ არ ვარგა, გარეთაც უკეთესი არ არის. თუ კარგი ამინდია და თან ქარი მირბის, ანა და ცოტა სიო სცემს, ქუჩები მტვერითაა სავსე. მართალია ორიოდე მუშა კი დაუქირავებიათ ქუჩების მოსარწყავათ, მაგრამ ერთი ორ ხელ კი აუვლიან და ჩამოუვლიან და მეტს არას დაგიდევენ, ალბად იმათაც სჩვევიათ დაღალვა და იღლებიან. მერე ნეტავ წყალი მაინც იყოს მორიდან მოსატანი: ქუჩებს (უმეტეს ნაწილად ასეა) ორივე მხრივ ღელეები ჩაუდის და შუაში კი აბასთუმანს—გვარიანად მოზრდილი მდინარე. საკმაო იყო კიდევ ორიოდე მუშის აყვანა და საქმის მოგვარებასაც მეტი არაფერი უნდოდა. ამის მაგივრად კი დაუქირავებიათ ერთი კაცი, რომელიც ჩამოივლის ხოლმე შუადღის ხანს თავის კასრით და ქუჩებსა ჰგვის. გამვლელ-გამომვლელის შეხედვით ის ოდნავაც არ შეაჩერებს ცოცხს. ასეთია ქუჩები.

ქუჩებსაც რომ გასცილდეთ და ნაძვნარში შედგათ ფეხი, ზოგჯერ აქაც არ დარჩებით მადლიერი თავის-თავს. ქუჩების ახლო-მახლო ნაძვები გაბიდვერილია მტვერით, რასაკვირველია ქუჩიდამ. გარდა ამისა ზოგიერთი ნაძვნარი სულ მაღალ პირუტყვებისა და ადამიანის ფეხის ადგილადაა გადაქცეული. სამწუხარო აქ უფრო ისაა, რომ ასეთი სიბინძურე უფრო სახლების ახლო ნაძვნარებშია, სადაც მძიმე ავათმყოფებს ყოველთვის შეეძლოთ, სიახლოვისა გამო, გასვლა და წმინდა ჰაერის ჩასუნთქვა.

წელანაც მოგახსენებდით, რომ თუ აბასთუმანზე მე ხმა ამოვიღე, მხოლოდ მისთვის, რომ აქ მძიმე ავათმყოფები იყრიან თავს. ზოგიერთი საცხოვრებელს ჰყიდის, ვალს იღებს და ექიმის რჩევით აქეთ მოეშურება. იმედი აქვს ხარჯი ტყვილად არ ჩაუვლის და, რომ მორჩება, დანახარჯს ერთი-ორად აღადგენს. საცოდავობა არ არის ასეთ ბრწყინვალე იმედს კაცმა ხელი შეუშალოს! სირცხვილი არ არის იმათ ცხოვრება წაუმწაროთ მაშინაც კი, თუ იგინი აქ ცხოვრებაში გვარიან ფასს იღებენ! რა პასუხს აძლევენ, ვიკითხავთ ჩვენც, ისინი, ვისაც ზემო თქმულ ნაკლულევანებათა მოსპობა ვალად აძევს, ან ავათმყოფებს ანა და იმათ დაობლებულ, დაღატაკებულ ოჯახებს!?

აქ წელს დიდმა ხალხმა მოიყარა თავი. სულ კარგი ამინდები იდგა, მხოლოდ ამ ორიოდე დღეს იცვალა ცამ ფერი: ხან კოკის პირულ წვიმას გვიგზავნის და ხან ქარს. სურსათი ძვირი არ არის, სხვა რამე რომ იყოს სიამე.

მალე აქ ბ-ნ რემერტს მოელიან რემერტი ის ექიმია, რომელმაც აბასთუმნის აბანოები და ბორჯომის წყლები მოაწყო. იმის მოლოდინენი ცოტა მზადებაშიდაც არიან.

იმ.

წერილი ალაგირიდან

უმაღლესად ნაბოძები მიწა ალაგირელ ქართველებისათვის სკოლისა და საკუთარს ეკლესიის ასაშენებლად.

ოთხი წელიწადია, რაც ალაგირში ქართველთა სკოლა არსებობს და ამ ოთხის წლის განმავლობაში იგი მოთავსებული იყო დაქირავებულ სახლში, რომელსაც ინახავს კავკასიის საეპარქიო საბჭო დ აქაური ქართველობა. ყველას უნდოდა, სკოლა საკუთარს სახლში მოეთავსებინათ, მაგრამ ამას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ მიწა ალაგირში ძვირად ფასობს, (ერთი ოთხ-კუთხი საჟენი იყიდება არა ნაკლებ ექვსის მანეთისა, ბევრი უფრო ძვირადაც); სახელმწიფო მიწა კი ამ სოფელში თავისუფალი არ იყო, ერთის ნაჭერის გარდა, სივრცით 10 ქცევა, რომელსაც სოფლის შუა ადგილი უჭირავს. ამ ადგილას აქაური ბატარეის ტყვია-ვერცხლის „სარაია“. ამ რამდენისამე წლის წინად ეს ადგილი სთხოვეს სამხედრო სამინისტროს აქაურმა რუსებმა, მაგრამ უარი მოუვიდათ. როდესაც აქ ქართული სკოლა დაარსდა, კავკასიის გიმნაზიის მასწავლებლის კოტე კახიძის მეცადინეობით, ქართველმა საზოგადოებამ სცადა ბედი და უმაღლესს სახელზე გაგზავნა თხოვნა ქართველებიც ამ ადგილს თხოულობდნენ.

მას შემდეგ თითქმის ოთხმა წელმა განვლო და არავითარი პასუხი არ მოსულა· მაგრამ ბედმა მაინც გაუღიმა ალაგირელ ქართველებს. ბატარეის ადგილი ალაგირელ ქართველებისათვის დაუთმიათ სკოლის და ეკლესიის ასაშენებლად, იმ პირობით, რომ ტყვია-წამლის „სარაია“ გადაიტანონ სხვა ადგილას. ეს გადაწყვეტილება 10 ივლისს კიდეც გამოუცხადეს აქაურს ქართველებს.

მათ სიხარულსა და აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ეხლა კი შეუდგებიან ალაგირელი ქართველები სკოლისა და ეკლესიის შენებას. აზრად აქვთ, ეს საქმე იჯარით გასცენ.

პავლე ლომთათიძე

უცხოეთის წვრილი ამბები

მოხერხებული ჯიბგირი. პარიზელი გაზეთები მოგვითხრობენ ერთი ჯიბგირის ამბავს, რომელსაც პოლიციელები დაედევნენ დასაჭერად.

პოლიციის ორი აგენტი დაედევნა პარიზის ხალხით სავსე ქუჩებში ერთს ჯიბგირს, რომელმაც იმათ თვალ-წინ ჯიბეები დაუცარიელა რამდენსამე პირს.

ჯიბგირი ახალგაზდა გათხუპნული, დაგლეჯილის ტანისამოსით, შესანიშნავი ჰქარი მოსიარულე ბიჭი იყო და თავის მდევართ ძალიან გაასწრო წინ. იმან უცბად ერთს ქუჩაში შეუხვია და თვალს მიეფარა.

დაღალულ-დაქანცული პოლიციელები იმ ალაგს გაჩერდნენ, სადაც ჯიბგირი მიეფარა და ლოდინი დაუწყეს იმ იმედით, რომ ისევ მალე გამოჩნდებაო.

რაც შეეხება ჯიბგირს, ვიდრე იმას პოლიციელები დაეძებდნენ, ის არხეინად ერთს ეზოში შევიდა, სადაც, როგორც იმან წინადვე იცოდა, საბანაო იყო გამართული. ცუდლუტი იმწამსვე შევიდა, სადაც ტანისამოსს იხდიან, გაიძრო მარდათ ტანისამოსი და წყალში გადაეშვა, მაგრამ თან ისიც იფიქრა, რომ პოლიციელები იმას თავს არ დაანებებდნენ და ზვერავდნენ. ის ისე უნდა გამოსულიყო საბანოდან, რომ არავის არ შეენიშნა, თორემ პოლიციელები ხელსა სტაცებდნენ. ჯიბგირი ძალიან გონება მახვილი იყო და უცბად ღონისძიება გამოიგონა, როგორ დასხლტომოდა პოლიციელებს ხელიდან. ის წყლიდან ამოვიდა პირზე ღიმილით და იმ განყოფილებაში კი აღარ შევიდა, სადაც გაიხადა, ის შევიდა, მეორე განყოფილებაში, სადაც იმის ცოტა წინად ერთმა მორთულმა ყმაწვილმა კაცმა ტანისამოსი გაიხადა: ნაცრის ფერი მშვენიერი საზაფხულო ტანისამოსი, ყვითელი ფეხ-საცმელები, ჯოხი და მშვენიერი ჩალის შლაპა.

ერთი თვალის დახამხამებაში ჯიბგირმა ჩაიცვა ეს ტანისამოსი, თმა გადივარცხნა, დაიხურა შლიაპა და გამოვიდა აბანოდან ჯოხის თამაშით, წინ გაუარა თავის მოდარაჯე პოლიციელებს, რომელთაც ამ მშვენიერს ტანისამოსში ჯიბგირი ვერ იცნეს, და ხალხში გაერია.

ამ დროს ტანისამოსის პატრონიც ამოვიდა წყლიდან და თავის ტანისამოსისკენ გაემართა... გული გაუსქდა, როდესაც დაინახა, რომ იმისი ტანისამოსის ნაცვლად რაღაც ძონძები ჰყრია. ის დაემუქრა აბანოს პატრონს ტანისამოსის მოპარვის გამო, ამას სხვა მობანავეთაც მხარი დაუჭირეს, და ბოლოს აბანოს პატრონი დასთანხმდა, რომ წაჰყვება ამ ყმაწვილს და სამაგიერო შეკერილ ტანისამოსს უყიდის.

ამ გაქურდულმა „ფრანტმა“ ძალაუნებურად ჩაიცვა ჯიბგირის დაგლეჯილი ტანისამოსი, რომ წაჰყოლოდა აბანოს პატრონს ახალი ტანისამოსის სასყიდლად.

როგორც კი ყმაწვილმა კარებიდან ფეხი გამოდგა, მიმალული პოლიციელები, რომლებსაც ძველს ტანისამოსში ეს ყმაწვილი დამალული ჯიბგირი ეგონათ, მისცვივდენ ამას და დაატუსაღეს. თუმცა ყმაწვილმა ბევრი იყვირა, მაგრამ ის მაინც პოლიციაში წაათრიეს; მხოლოდ იქ გამოაშკარავდა, საქმე როგორც იყო. ჯიბგირი კი მოჩვენებასავით სადღაც გაქრა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 ივლისს

კილი. ორშაბათს იმპერატორი ვილჰელმი გემ „ჰოჰენცოლერნ“-ით რეველს წავიდა. იმპერატორის ამალაშია: ობერ-ჰოფმარშალი გრაფი ეილენბურგი, უმთავრესს სახლის კომენდანტი პლესენი, გენერალ-ადიუტანტი შოლი, კაპიტნები უზედომი ὸ გრუმე და ობერ-შტაბ დოქტორი ილბერგი. იმპერატორს თან ახლავს იმპერიის კანცლერი, საზღვაო-სამხედრო კაბინეტის უფროსი და საზღვაო აგენტი პეტერბურგისა. გემზე არის აგრეთვე პრინცი ფრიდრიხ-ჰენრიხი.

ბერლინი. რუსეთის ელჩი ჩარიკოვი დროებით დაეთხოვა სამსახურს; იმის დაბრუნებამდე თანამდებობას აასრულებს მანსუროვი.

პეტერბურგი. საპატიო ოპეკუნებად დაინიშნენ: საიმპერატორო უმთავრესს სახლის კომენდანტი ბარონი მეიენდორფი და სიმბირსკის გუბერნატორი აკინფოვი.

— ებოძა შტალმეისტრობა საპატიო ოპეკუნს ტრუბნიკოვს.

— სამოქალაქო სამსახურის კომიტეტის გამგედ დამტკიცებულ იქმნა იუშკოვი.

— ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი გენერალი პეტროვი დროებით სამსახურს დაეთხოვა; დროებით იმის თანამდებობას ასრულებს იმის თანაშემწე დ. სტ. სოვ. სევასტიანოვი.

პარიზი. გუშინ ხმა გავრცელდა, მითომ რამბულიეში ლუბეს ესროლესო, მაგრამ ეს ხმა ტყუილი გამოდგა.

გამომც. და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 12 ივლისს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,10	
ბერლინზე 100 მარკაში	46,07½	
პარიზზე 100 ფრანკში	—	
ლონდონზე ჩეკები	94,75	
ბერლინზე „	46,27½	
პარიზზე „	—	
ბირჟის დისკონტი	4½—6½%	
4% სახელმწიფო რენტა	97	გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	99	„
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	471½	„
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	357	მყიდვ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	291	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—	
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—	
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	90⅛	გაყიდ
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	89½	მყიდვ.
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	—	

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი - დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.)

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

ტყიბულისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მექქვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის დასაწყისში ძველ აბანოებთან მარცხნივ თათრის მოედნიდან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

ტფილი გოგირდის აბანო

„ფანტაზია“

თავად სუმბათაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის სითბო 37$_{50}$ ც. ფასი მცირეა. კონკაც იქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (სანდრო).

ტელეფონი № 555. წლ.—6).

ახალი წიგნი

ფიზიოლოგია

დ-რი ფოსტერისა

სურათებით

ფასი 25 კ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში.

ახალი წიგნი

შ. არაგვისპირელი

წიგნი მეორე

ფასი 40 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართ. ამხ. მაღაზიაში, ლორის მელიქოვის ქუჩაზე ქ. ტფილისში.

ცინკოგრაფია

წიგნის. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფილი სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ქუთაისში, ვ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცლის“-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეკ

Дозв. ценз. Тифлисъ, 22 Іюля, 1902 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).